ჯემალ აჯიაშვილი:

შოთა ბოსტანაშვილი არის არქიტექრორი ამ სიტყვის ძირეული და ჭეშმარიტი გაგებით, არქიტექტორი რომლის ცხოვრების წესი და შემოქმედება არის აგებული პოეზიის პრიმატით. ჩემთვის უძვირფასესია მისი შემოქმედება სწორედ ამ ნიშნით. არქიტექტურის პოეტიკა სრულიად ახალი, ნაღდი, ძირეული პიროვნული ჰარმონიისაკენ მიაქცევს ჩვენს დაქუცმაცებულ ყოფას, ამ ყოველდღიური ყოფითობისგან, გარინდებული და რაღაც საოცრად დიდებული. უამრავი რამ შეიძლება ითქვას ბატონი შოთას შემოქმედებაზე. ეს არის არქიტექტურა და შემოქმედება რომელსაც ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან, ჭკვიანნი გასაგებია რასაც მოიცავს ამ წუთში იმიტომ რომ ეგ არის ვნება, გახელება "დუენდე" რასაც ქვია, თავისებური "სიგიჟე" რასაც ქვია, ამ სიტყვის ყველაზე პოზიტიური გაგებით. შერეკილის სიგიჟე, კარგი შერეკილის. ამიტომ შოთას სულაც არ მინდა ოდნავ მაინც გული ეტკინოს, ჭკვიანთა ცალკეულ გამოხტომებზე. სპარსული ანდაზაა: "სანამ ჭკვიანი ფიქრობდა როგორ გადავხტე მეორე ნაპირზეო, გიჟი უკვე გადამხტარი იყო." ამ "გიჟში" იგულისხმება დიდი პოეტური აღმაფრენა, დიდი პოეტური სილაღე, სულის თავისუფლება. შოთას შემოქმედებას როცა უყურებ წამიერი თვალით, მზერა რომ დავძაბე და გადავხედე საოცრად ბედნიერად და ლაღად ვიგრძენი თავი. გამახსენდა: "ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გინდა." აი ამისათვის განგაწყობს შოთას შემოქმედება. მიყვარს შოთა მთელი თავისი შემოქმედებით, ის ჩემი მეგობარია, მეგობრობისგან დამოუკიდებლად და განყენებულად შოთა არის დიდი ხელოვანი, არქიტექტორი და დიდი პოეტი – ეს სამივეა. მისი თეორიული ნააზრევიც, მისი ნაწერებიც საოცარ პოეტურ გუნებაზე მაყენებს ყოველთვის და ამ ყოფიდან, ამ მოსაწყენი ასე ვთქვათ, ტრივიალური ყოფიდან, რაღაც სხვა სივრცეებში და განზომილებებში მიყევხარ. ყველას ვულოცავ ამ დღეს, ჩემს თავსაც რა თქმა უნდა, თქვენც გილოცავთ და ყველა სილამაზის და მშვენიერების მოტრფიალეს. დიდი მადლობა

დათო ანდრიაძე:

შოთა ბოსტანაშვილის შემოქმედება, მე გავრისკავდი და ვიტყოდი ასე: შოთა ბოსტანაშვილის ფენომენი, ჩემთვის პირადად და ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ის ქართულ კულტურულ სივრცეში ამკვიდრებს არქიტექტორის არსებობის სრულიად ახალ ასპექტსა და ახალ გამართლებას. დღემდე არქიტექტორი ფაქტიურად გაიგივებული იყო ინჟინერთან, პრარაბთან, სამუშაო მწარმოებელთან. ეს იყო რაღაც ტექნიკური, მეორადი ხასიათის მოვლენა. დღევანდელი პრეზენტაცია, რასაც მიეძღვნა, ჩემთვის მხატვრული ობიექტია, არტეფაქტი. ეს არის უპრეცედენტო მოვლენა ჩვენს სინამდვილეში, რომელმაც რა თქმა უნდა შეიძლება ბევრის მხრიდან ერთგვარი უკუ რეაქციაც გამოიწვიოს. მე ვიცი რომ გაზეთ "24 საათში" - შოთა განიცდიდა კიდეც - მისი ეს ნამუშევარი მოხვდა რაღაც უსახური ნაგებობების ციკლში, რუბრიკით „ავოე„. ეს არის მეორე გაუგებრობა და ჩვენი ქაჯობის კიდევ ერთი დასტურია, მაგრამ ის ფაქტი რომ თბილისში შენდება და ფაქტიურად აშენდა ობიექტი, არქიტექტურული არტეფაქტი (ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს) - რომელსაც მერე სხვა ვიღაცამ შეიძლება გადაარქვას სახელი, მაგრამ დღეს ქვია არტისტული ყვავილები, - ჩვენთვის უკვე მნიშვნელოვანია, რადგან ის იწვევს პოეტური ასოციაციების ძალიან რეალურ სპექტრს. ხოლო პოეტური ასოციაციები შეიძლება ყველაფერმა გამიწვიოს, ქუჩაში დაგდებულმა ნაგავმაც, მაგრამ აქ არის არქიტექტურის დეფუნქციონალიზაციის და ნეოესტეთიზაციის - თუმცა რაც არ მომხდარა რისი ნეო შეიძლება იყოს, - ალბათ ესტეთიზაციის და მისი დამოუკიდებელ არტეფაქტად ქცევის ძალიან მნიშვნელოვანი წინა

პირობა და შანსი. ყოველ შემთხვევაში შოთამ არც კი იცოდა, მე და ჩემი მეგობარი ჯონი გოდაბრიშვილი საგანგებოდ ავედით მის სანახავად. უპრეცენდენტო ამბავია, რომ აიარო ამხელა გზა ფეხით და მიხვიდე არქიტექტურული ქმნილების სანახავად, როგორც მიდიხარ მუსიკის მოსასმენად, ფერწერის სანახავად, მემგონი ეს ძალიან მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს შიგნით რა განთავსდება, ის უკვე არის არტეფაქტი. იქ შეიძლება საერთოდ არაფერი არ განთავსდეს, შეიძლება რომელიღაც სახლმმართველობა იყოს. მაგრამ ის როგორც არტეფაქტი ამართლებს თავის მნიშვნელობას, რომ ეს არის ესთეტიზმის დაუძლეველი წყურვილი სადაც კიდევ ერთი გამოვლინება ჰპოვა შოთას ქმნილებამ.

ემზარ კვიტაიშვილი:

დიდი სიამოვნება მომანიჭა დღევანდელმა დღემ. ჩემი მეგობრის, ბატონი შოთა ბოსტანაშვილის გამოფენამ. მე მას კარგა ხანია ვიცნობ და განსაკუთრებით მხიბლავს მისი შემოქმედება. გარდა იმისა რომ იგი არის შემოქმედი კაცი ღრმად განათლებულია, მთელი არსებით იცნობს თანამედროვე ფილოსოფიას, არის შეყვარებული პოეზიაზე და ყველაფერმა ამან თავი იჩინა მის შემოქმედებაში. იგი უხმაურო ადამიანია, მაგრამ დარწმუნებული ვარ მისი შემოქმედება თავის ადგილს დაიჭერს. სახელს გაუთქვამს საკუთარ თავს და მის სამშობლოს - საქართველოს.

პაატა ნაცვლიშვილი:

მე უნდა მოგახსენოთ, რომ რასაც აქ ვხედავ, ჩემდა საბედნიეროდ პირველად არ ვუყურებ, ეს ყველაფერი მე წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს ნანახი მაქვს. ბევრი რამ ჩემს თვალწინაც იქმნებოდა. ეს ბოლო ნამუშევარი - პოეზიის სასახლე - საწყის სტადიაში მაქვს ნანახი და რაც მეგონა რომ იქნებოდა იმაზე გაცილებით მეტია. მე მიმაჩნია რომ თავის თავად ეს თეორია არქიტექტურის პოეტიკისა - თეორია ცოტა არ იყოს ძნელი სათქმელია არქიტექტურაზე, აქ ფაქტიურად ყველაფერი განხორციელებადია, ყველაფერი მატერიალიზაციას მოითხოვს - ეს არის მოვლენა და არა მარტო მოვლენა საქართველოსათვის არამედ არქიტექტურისა- თვის. რომელიც ყველაზე ინტერნაციონალური ხელოვნებაა მუსიკასთან ერთად. მოგეხსენებათ ალბათ?. რაც შეეხება ამ ბოლო ნამუშევარს მე არ შემიძლია არ ვთქვა საგანგებოდ ის, რომ ეს არის დროსა და სივრცეში ზუსტად ჩასმული ძეგლი, ძეგლი ეპოქის, ძეგლი ადგილის, ეს არის ძეგლი ბუნებრივია არქიტექტურისაც, და არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს არის ძეგლი შემკვეთისაც და მე მიმაჩნია, რომ შემკვეთს არა ნაკლები როლი ენიჭება ასეთი ნამუშევრის შექმნისას, ვიდრე თავად არქიტექტორს, ისე როგორც თავის დროზე მედიჩებს, სარაჯიშვილებს, გუგენჰეიმს.. სხვებს და სხვებს. ბევრი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შოთას თეორია, მისი მოძღვრება, რომელსაც ის ასე ნერგავს კოლეგებში, სტუდენტებში, თავის მეგობრებში, სრულად განსხეულდა ამ ბოლო ნამუშევარში. ყველაფერი საუკეთესო, ის რაც სხვადასხვა დროს ესკიზების, ჩანაფიქრის, გრაფიკის დონეზე, რეპლიკის, ფოტოს დონეზე იქმნებოდა, აქ არის სრულქმნილი არქიტექტურაში და უკვე აქვს არა მარტო ესთეტიკური, არამედ წმინდა ფუნქციური დატვირთვაც და ეს ფუნქციური დატვირთვა კარგია, რომ ისევ პოეზიას უკავშირდება, სწორედ ამიტომ მგონია, რომ იგი აგვირვინებს შოთას მთელ ამ ნაფიქრს, ნააზრევს, ნაშრომს ამდენი წლის განმავლობაში.. და მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერი არქიტექტორი ინატრებს ასეთ გვირგვინს თავისი ნააზრევისათვის.. საბოლოოდ მე მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი

თავის შეფასებას ჯერ კიდევ ელოდება, ისე როგორც საქართველოში ასევე მსოფლიო მასშტაბით. საქართველოში, დღეს, როდესაც მადლობა ღმერთს გამოჩნდნენ გემოვნებიანი ხალხი, არ ვიცი შეიძლება ფულიანი ხალხიც?.. ფულიანი ხალხი უფრო მეტია ვიდრე გემოვნებიანი ყოველ შემთხვევაში და ძალიან ბევრი რამე შენდება, მაგრამ შენდება დროისა და სივრცის გარეშე, შენდება ყველაფრის გათვალისწინების გარეშე რისი გაუთვალისწინრბლობაც არ შეიძლება, ისეთ შედარებით მარადიულ ხელოვნებაში, როგორიც არის არქიტექტურა, ისეთ ხელოვნებაში რომელიც სივრცეშია განთავსებული და დროშია გაწელილი, რაც უნდა გაითვალისწინოს ყველამ. მადლობა ღმერთს, რომ ეს არის ნიმუში იმისა როგორ უნდა მოხდეს ახალი ძეგლის, ახალი შენობის ჩასმა არსებულ გარემოში ისე, რომ ძველმა და ახალმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, პირიქით ერთმანეთი შეავსონ, სრულქმნან და ღოგორ შეიძლება იყოს გამოყენებული ლანდშაფტი, რითაც თბილისი მართლაც გამორჩეული ქალაქია მსოფლიოს ძალინ ბევრ ქალაქებს შორის. ამიტომ, ვიმეორებ: ამას სჭირდება შეფასება, ის ელის თავის შეფასებას, ელის თავის დაფასებას, უნდა დაფასდეს ის შრომა, რომელიც შოთამ როგორც ინტელექტუალმა, არქიტქტორმა და შემოქმედმა გასწია და ის შრომაც, რომელიც მან როგორც ხელოსანმა, მოქანდაკემ და ოსტატმა გასწია, როდესაც მთელი დღე და ღამე ხარაჩოებზე გაათენა. ცუდი არ იქნება თუ ეს ყველაფერი გარკვეული კატალოგის ან ალბომის სახესაც შეიძენს, რომელიც ასეთივე ძალიან მნიშვნელოვანი საპრეზენტაციო ელემენტი იქნება ამ შენობისა, რომლის გახსნა, მე მიმაჩნია საქრთველოში ისეთივე მოვლენა უნდა იყოს, როგორი მოვლენებიც წლების და საუკუნეების მერე მატიანეებში არის შემონახული, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

ნესტან რაზმაძე:

ოქტავიო პასკომ თქვა, რომ პოეზია არის ის რაც არასოდეს არ თქმულა, ის რაც საზღვრების მიღმაა და ის რაც დარჩება. ეს მემგონი იმდენად ზუსტად ახასიათებს შოთას ნაწარმოებს, კონკრეტულად კი ამ ნაწარმოებს და საერთოდ მის შემოქმედებასაც, რომ ალბათ არაფრის დამატება აღარ უნდა.